

## ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ კრიზისის გამო ამერიკამ და ევროკავშირის ქვეყნებმა უარი თქვან საქართველოსთვის დახმარებების გაწევაზე?

გაზეთი “ალია” – 18-20 ოქტომბერი, № 128, 2008

16 ოქტომბერს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე განსხვავებული სიტუაცია დაფიქსირდა. ამერიკული საფონდო ინდექსები აქციებზე კოტირების ზრდით დაიხურა. ვაჭრობის დროს ინდექსების მერყეობა შეინიშნებოდა, რაც, სავარაუდოდ, ინვესტორების ეჭვის მაღალ დონეზე მიუთითებს.

შედგების მიხედვით Dow Jones-ის ინდექსი თითქმის 4,7%-ით, ანუ 401,35 პუნქტით, 8979,26 პუნქტამდე გაიზარდა, ფართო ბაზრის ინდექსი S&P 500 – 4,3%-ით, ანუ 38,59 პუნქტით, 946,43 პუნქტამდე გაიზარდა. მაღალტექნოლოგიური Nasdaq Composite-ის – 5,5%-ით, ანუ 89,38 პუნქტით და 1717,71 პუნქტს გაუტოლდა.

16 ოქტომბერს დაეცა ევროპული ინდექსები, რაც, სავარაუდოდ, აშშ-სა და ევროპაში რეცესიის საშიშროებამ გამოიწვია.

ბრიტანული ინდექსი FTSE 100–218,20 პუნქტით, ანუ 5,35%-ით 3861,39 პუნქტამდე შემცირდა. გერმანული ინდექსი DAX Xetra 30 – 238,82 პუნქტით, ანუ 4,91%-ით 4622,81 პუნქტამდე შემცირდა. ფრანგული CAC 40 – 200,07 პუნქტით, ანუ 5,92%-ით 3181,00 პუნქტამდე შემცირდა. საერთო ევროპული ინდექსი Dow Jones Stoxx 600–10,77 პუნქტით, ანუ 4,96%-ით 206,40 პუნქტამდე შემცირდა.

“ალიას” ესაუბრება ეკონომიკური ექსპერტი ლადო კაპაგა:

– პირველ რიგში, ის, რომ ამერიკაში საფონდო ბირჟაზე გაიზარდა ინექსი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს იქნება მყარი ტენდენცია. ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც პლუს-მინუსით რყევა, მაგრამ ეს მატება უკეთესია, ვიდრე ბოლო დროის კლების ტენდენცია. ამიტომ ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ევროპაში მიმდინარე კლებას რამდენიმე ახსნა აქვს: პირველი ის, რომ

ამერიკის ადმინისტრაციამ უფრო ოპერატიულად იმოქმედა, ვიდრე ევროპულმა სახელმწიფოებმა და თავად ევროკავშირმა. ანუ, ამერიკის ადმინისტრაციამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები და ამას თავისი დადებითი რეაქცია მოჰყვა, ხოლო ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე პრაქტიკულად ვერანაირი წინადადება ვერ გამოიმუშავეს, გარდა იმისა, რომ თქვეს, ყველა ქვეყანამ თავისით უნდა მიხედოს ამ პრობლემასო. გასაგებია, რომ სხვადასხვა ქვეყნები უკვე გარკვეულად ცდილობენ ამ პრობლემის დაძლევის, მაგრამ მათ რეაგირება ამერიკასთან შედარებით მოგვიანებით გააკეთეს. მეორეც, ეფექტი მაინც სხვადასხვა იქნებოდა, რადგან ევროპაში ბაზრები ერთმანეთთან ძალიან ინტეგრირებულია, ხოლო ევროკავშირს თვითონ კი არა აქვს მცდელობა, სიტუაცია მოაგვაროს, არამედ ეს მინდობილი აქვს ცალკეულ წევრ სახელმწიფოებზე. ეს, ჩემი აზრით, იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცდომა, რადგან ბაზრებისთვის აღმოჩნდა საკმაოდ უარყოფითი სიგნალი. თანაც, როცა ბაზრები ინტეგრირებულები არიან, მიზანშეწონილი იყო, ეს ყველაფერი ერთად გაკეთებულიყო.

ამ ფინანსურ კრიზისს საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა. ეს ნელ-ნელა გადმოვიდა ევროპაზე. ახლა, ის პოზიტივი, რაც ამერიკაშია, აისახება ევროპაზეც, მაგრამ არა მყისიერად და ამას დასჭირდება გარკვეული დრო. ამ ეტაპზე მთავარი ისაა, რომ ამერიკის ეს პოზიტივი ჩამოყალიბდეს, როგორც ტენდენცია. თუნდაც უმნიშვნელოდ, მცირე ტემპებით, მაგრამ მაინც დაფიქსირდეს ზრდა.

– ანუ ამერიკის ბაზარზე ინდექსების ზრდა მაინც არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევა დაწყებულია?

– რა თქმა უნდა, არა, რადგან, როგორც ვთქვი, ეს შეიძლება ჯერ მხოლოდ პოზიტიური რყევა იყოს. ჯერ იმის ტენდენცია არ გამოკვეთილა, რომ კრიზისის დაძლევაზე ვისაუბროთ.

– ჩვენ გვისაუბრია იმაზე, რომ ეს კრიზისი პირდაპირ არ აისახება საქართველოზე, მაგრამ, თუ ევროპის ბაზარზე კრიზისი ისევ გაგრძელდა, ირიბად როგორ იმოქმედებს ის საქართველოზე?

– ამერიკის საკითხიც რომ გადაწყდეს, ეს მაინც არ არის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა, რადგან პრობლემა არის ის, რომ ურთულესი მდგომარეობაა ჩვენთან ინვესტიციების შემოსვლის თვალსაზრისით. ხოლო, ინვესტორებისთვის დამაფრთხობელია საქართველოში ის კრიტიკული რისკფაქტორები, რომელიც რუსეთის აგრესიას მოჰყვა და მეორეც, ჯერ, სანამ ფინანსური კრიზისი არ არის დაძლეული, თავად ინვესტორებიც ისე ვერ დგანან ფეხზე, ჩვეული გეგმების განხორციელება რომ გააგრძელონ.

– ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ კრიზისის გამო ამერიკამ და ევროკავშირის ქვეყნებმა უარი თქვან საქართველოსთვის დახმარებების გაწევაზე?

– დარწმუნებული ვარ, რომ დახმარებები არ შეჩერდება. მეტიც, 22 ოქტომბერს იქნება დონორების შეხვედრა ბრიუსელში, რომელიც უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს იმ დახმარებებში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიიღოს ამ უახლოესი დღეების განმავლობაში. მოდით, ამ თემაზე 22 ოქტომბრის მერე ვისაუბროთ, რადგან კონკრეტულად გვეცოდინება, რომელი ქვეყნებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან რა დახმარებები მოდის, რა მიმართულებებით, რა ვადებში და ა.შ.

**დიტო ტიკარაძე**